

საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში - „არა ფეხიციდს“



კასპის მუნიციპალიტეტში გორის რაიონული პროკურატურის წარმომადგენლებმა საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში - „არა ფეხიციდს“ - შეხვედრა გამართეს.

ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და ფემიციდის დანაშაულების პრევენცია. შეხვედრაზე საუბარი იყო ფემიციდის წინააღმდეგ ბრძოლის, ქალ-

ასფალტ-ბეტონის საფარის მორეაგირებული ფენა დაიგო



ქალაქ კასპში 300 არაგველის ქუჩაზე ასფალტ-ბეტონის საფარის მეორე ფენა დაიგო.

ქუჩის რეაბილიტაციას კასპის მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ მაისურაძე საკრებულოს

სასიკეთის „იმედი“ შიდა ქართლის ჩემპიონი გახდა

სასიკეთის „იმედი“-ს სათამაშო გუნდს კასპის მუნიციპალიტეტის მერმა ვახტანგ მაისურაძემ და საკრებულოს თავმჯდომარემ შოთა ბეგლარაშვილმა ფეხბურთის ახალი სპორტული ფორმა გადასცეს.

2023 წელს სასიკეთის „იმედი“ შიდა ქართლის ჩემპიონი გახდა, ხოლო გუნდის მთავარი მწვრთნელი ზურაბ ბეჟიტაშვილი ამავე ჩემპიონატის „საუკეთესო მწვრთნელის“ ნომინაციაში დასახელდა. სასიკეთის

თა მიმართ გენდერული ძალადობისა და ოჯახში დანაშაულის წინააღმდეგ პროკურატურის მიერ განხორციელებულ ღონისძიებებსა და არსებულ გამოწვევებზე, ძალადობის მსხვერპლის დაცვის დროებით ღონისძიებებსა და სხვა საკითხებზე.

პროკურატურის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ასეთ დროს მნიშვნელოვანია საზოგადოების აქტიური ჩართულობა და ძალადობის პირველივე შემთხვევის შესახებ შეტყობინება, რათა სამართალდამცავმა ორგანოებმა მიიმე დაანაშაულის თავიდან ასაცილებლად რეაგირება დროულად და ეფექტურად მოახდინონ.

თავმჯდომარესთან შოთა ბეგლარაშვილთან და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად გაეცნო.

პროექტი რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით ხორციელდება, რომელსაც შპს „ქცია“ ახორციელებს.

საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა ადგილობრივებს გადაადგილების მანამდე არსებულ პრობლემას მოუხსნის.

პირველი პროფესიონალური საკალათბურთო კლუბი

კლუბი „გრიფინი“ (მწვრთნელები გიორგი სიმონიშვილი და გიორგი მოსიაშვილი) კასპის მუნიციპალიტეტის მერიის ინიციატივითა და მხარდაჭერით შეიქმნა და კასპის საკალათბურთო ისტორიაში ახალი ფურცელი გადაშალა.



მუნიციპალიტეტის მერმა ვახტანგ მაისურაძემ და საკრებულოს თავმჯდომარემ შოთა ბეგლარაშვილმა კლუბის მოთამაშეები ვარჯიშის დროს მოინახულეს და პირველი გამარჯვება მიულოცეს.

ბურთელებითა და კომპლექტებული და „ა“ ლიგაში გადასასვლელად ორი საკვალიფიკაციო ეტაპის გავლა უწევს. პირველ ეტაპზე 8 - 15 დეკემბერს კლუბი „მთიელს“ დაუპირისპირდნენ, სძლიეს და - 23 - 26 დეკემბერს შეხვედებიან „ასტრალს“.

პირველი ამხანაგური მატჩი „ა“ ლიგის რუსთავეის კლუბთან 100 : 87 გამარჯვებით დაასრულეს.

ვახტანგ მაისურაძემ წარმატებები

კლუბი გამოცდილი კალათბურთელები

მეტეხის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ბარნაბინთკარში დასასვენებელი სკვერის მოწყობა მიმდინარეობს

სოფელ მეტეხის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ბარნაბინთკარში დასასვენებელი სკვერის მოწყობა მიმდინარეობს.



სამუშაო პროცესს კასპის მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ მაისურაძე საკრებულოს თავმჯდომარესთან შოთა ბეგლარაშვილთან და ადგილობრივი თვითმ-



მართველობის წარმომადგენლებთან ერთად გაეცნო.

პროექტის მიხედვით ერთ სივრცეში ეწყობა ბავშვთა გასართობი ატრაქციონები, გარე მოხმარების ფიტნეს ტრენაჟორები და დასასვენებელი ფანჯატური.

„ჩემი პირველი ყომპიუტერის“ პროგრამის ფარგლებში

დასასრული დასაწყისი იხ. გვ -1. ნაშეილი) - მარიამ ჩანქსელიანი;

თის გიორგი მაზნიაშვილის სახელობის საჯარო სკოლა (დირექტორი ნანი ბარნაბიშვილი) - ნინო ქურდაძე და მარიამ დავითაშვილი;

გახელაძე, ნინო ჯამრამვილი, ლიზი ობგაძე და ლიზი ბუდალაშვილი;

სოფელ სამთავისის საჯარო სკოლა (დირექტორი ლელა ჩერქეზიშვილი) - გიორგი გაბოშვილი;

სოფელ ქვემო ჭაღლის საჯარო სკოლა (დირექტორი ნათია ცქიტიშვილი) - ანანო

სოფელ ქვემო გომის საჯარო სკოლა (დირექტორი ეკატერინე კურტანიძე) - ივანე მჭედლიშვილი და გიორგი ქოსაშვილი.



„... რას იხსენებ მოიწოდებს მისი ჯარით...“

(შტრინები კომპოზიტორისა და პედაგოგის - მარიამ (მარიკო) კვალაიშვილის შემოქმედებითი პორტრეტისათვის)

ჩვენი ნარკვევის გმირი:

დაიხ, იგი, ჩვენი გაზეთის საახალწლო ნომრის სტუმარი, კომპოზიტორი და პედაგოგი ჩვენებურია. გვაქვს პატივი, წარმოვიდგინოთ: ქართველი ხალხის საყოველთაო პატივით გარემოსილი ცნობილი მუსიკოსი. ის ქართული მუსიკალური სამყაროს საამაყო წარმომადგენელია, ნამდვილი მშვენიერა, ვარსკვლავოსანი, უმდიდრესი მუსიკალური საგანძურის შემქმნელი, ხანდაზმულობასთან შებუღი და გვირგვინსკენი ქალბატონი, კეთილად შესაშური შემოქმედებითი ენერჯის თავწყარო... იგი სხვა მხრივაც პატივისცემი პიროვნებაა - შეილიშვილია ქართველი უცნობილესი მომღერლისა (წინარე საუკუნისა) - მარო თარხნიშვილისა, ასულია ცნობილი მხატვრისა - კონსტანტინე კვალაიშვილისა, რომელსაც 20-მდე ქართული მხატვრული ფილმი და უამრავი სასცენო სპექტაკლი გაუფორმებია მხატვრულად.

მან, ჩვენი ნარკვევის გმირმა კომპოზიტორმა და პედაგოგმა, დასტურ, სახელოვნად გააგრძელა ოჯახურ-პირადული მუსიკალური დინასტიის სასახელო მოღვაწეობა მშობლიური მხარისა და ქვეყნის მსახურებაში, ღირსეულად ირგუნა თავისი ხალხის ალალი სიყვარული და პატივი, სახელმწიფოებრივ დონეზე - აღიარება და დაფასება. შეძლო ის, რომ გამოსულიყო სახელოვანი ბებია-მომღერლის ჩრდილიდან და საკუთარი ნიშა შეექმნა ეროვნული ბრენდის სახელითა და ლოგოთი. მეტად რე იმითაც, რომ პირადული გარჯილობით საკუთარი წვლილი წარმოეჩინა ქართული კულტურის განვითარებასა და პოპულარიზაციაში, ანუ მაღლია მაღალ პროფესიონალიზმსა და ნაყოფიერებას, ცალ-ცალკე და ერთობლივად აღებულ შემოქმედებით, პედაგოგიურ და საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობაში.

მას, ჩვენებურ კომპოზიტორსა და პედაგოგს, კარგად იცნობენ ქვეყნის დედაქალაქისა თუ საქართველოს ნებისმიერი სოფლის ფარგლებში, იწვევენ დიდ-პატარა ქალაქებში მოწყობილ კულტურულ ღონისძიებებზე, ფოლკლორული სიმღერის ფესტივალებზე, ეპატიყებიან სატელევიზიო შოუებისა და არხების მუსიკალური პროგრამების წამყვანები. საყურნალო და საგაზეთო სტატიებს უძღვნიან პოპულარული და ცნობილი გამოცემები, ინტერვიუებს სთხოვენ გამოცდილი

თუ დამწვები ჟურნალისტები. მისი, ჩვენებური კომპოზიტორისა და პედაგოგის, შემოქმედებითი საღამოები უდიდესი და არნახული ანშლავით გამართულა და ახლაც ეწეობა თბილისის უდიდეს საკონცერტო დარბაზში. მისეულ საავტორო სიმღერებს ასრულებდნენ და ასრულებენ სხვადასხვა თაობის მომღერლები. რაც მთავარია, პოპულარულია დღევანდელ შემსრულებლებშიც და მათთვისაც გასაგები და მისაღებია. საქართველოში ნამდვილად ძნელად მოინახება ისეთი მომღერალი, ვისაც თავის რეპერტუარში არ შეუტანია მისი საესტრადო თუ საბავშვო სიმღერა, ანდა, ერთხელ მაინც არ შეუსრულებია.

მისით, ჩვენებური კომპოზიტორითა და პედაგოგით, როგორც გამორჩეული და დაფასებული პერსონით, როგორც დიდებული და კვდამოსილი ქალბატონით, საერთოდ, როგორც საკუთარ შემოქმედებასა და სიცოცხლეზე შეგვარებული ქალი-მაგალითის ნიმუშით, ქართველობას გვყავს სასახელო და დიდი პიროვნება, დასტურ, ორი სახელდებით: აღმატებული ფორმით - მარიამი, და, სასიყვარულო-მოფერებითი ფორმით - მარიკო!

ასეთად, აძაგვარად, სახალხო კომპოზიტორად და პედაგოგად დაბადება-ქმნა, შედგომა და მიღწევადაც მხოლოდ ერთეულთა ზედადია მუსიკოს-შემოქმედთა ათასების ამქარში! ამიტომაც გეფერებით და მუნლს მოგიდრეკთ ჩვენი კუთხის სახელოვანი შემოქმედო, კომპოზიტორი და პედაგოგო, საამაყო ერისშვილი!

.. აი, ასე, გრამატიკული ბრუნვის შვიდივე ფორმაში ზოგადი ფორმით გამოყენებულ კონტექსტში შეიძლება, ორმაგი მიმართვის ნაცვლად ჩავსვათ კონკრეტული სახელ-გვარი და ამით მეტად გაცხადდება ჩვენი ნარკვევის გმირის ღირსებაც, საქმეც, ღვაწლიც, საქებარიც, ამავც, ჭირნახულობაც...

მაშ, ასე, აი, ვინ ბრძანდება კომპოზიტორი და პედაგოგი მარიამ (მარიკო) კვალაიშვილი:

ბიოგრაფიული მონახაზი: დაიბადა 1937 წლის 7 მაისს ქ. თბილისში.

დაამთავრა თბილისის პირველი მუსიკალური სასწავლებელი (1956 წ.) და ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია (1961 წ.).

1961-2006 წლებში, ანუ, თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში, პედაგოგობდა დედაქალაქის პირველ მუსიკალურ სკოლაში.

ათწლეულების განმავლობაში თავმჯდომარეობდა

საქართველოს რუსთაველის საზოგადოების კულტურის განყოფილებას. არჩეული იყო საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის წევრად. ავტორია უამრავი საბავშვო, საესტრადო სიმღერის, თხზულებისა და ოდისა (ოდები მიუძღვნა მშობლიური ქვეყნის თითოეულ მხარესა და კუთხეს).

შემქმნელია საავტორო პროექტისა - "ქართული სიმღერის პროპაგანდა" (გულისხმობს და მოიცავს საქართველოს ყველა კუთხის დაბასოფელ-ქალაქში ქართული სიმღერის პოპულარიზაციასა და პროპაგანდას, ნიჭიერი მოზარდი თაობის მიგნებასა და ხელშეწყობას).

დაფასება (ჯილდოები, წოდებები, პრემიები, პრიზები, ვარსკვლავი):

1999 წელი - ღირსების ორდენი (ქართული კულტურის განვითარებასა და პოპულარიზაციაში შეტანილი პირადი წვლილისათვის, მაღალი პროფესიონალიზმისა და ნაყოფიერი შემოქმედებითი, პედაგოგიური და საზოგადოებრივი საქმიანობისათვის);

2005 წელი - წლის საუკეთესო კომპოზიტორი (სანაგარიშო წლის განმავლობაში შექმნილი საუკეთესო სიმღერებისათვის), მანამდე აღიარებული იყო, ასევე, წლის საუკეთესო ადამიანად, წლის საუკეთესო პედაგოგად;

2009 წელი - დასახელებულია ქ. თბილისის საპატიო მოქალაქედ;

2010 წელი - ვარსკვლავის გასხნა (ქ. თბილისის საკონცერტო დარბაზის წინამდებარე მოედანზე);

2018 წელი - მიენიჭა ტიტული "საუკუნის პერსონა";

2020 წელი - ტიტული - "ხელოვნების ქურუმი";

2024 წელი - გადაეცა "ბრწყინვალეების" ორდენი.

ბიბლიოგრაფია: მარიამ (მარიკო) კვალაიშვილი ავტორია მოთხრობების კრებულისა "სიცოცხლე ამაღ ღირს" (ქ. ქუთაისი, 2016 წელი);

ბიოგრაფია შეტანილია წიგნებში "ქართული მუსიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი" (ქ. თბილისი, 2015 წელი) და "წიგნი ღირსებისა" (2002 წელი, ტ. 4, გვ. 360)...

შემოქმედებითი საღამოები:

მოგითხრობთ შარშანდელ ერთ-ერთ, ამასთან, ყველაზე გრანდიოზულ კონცერტზე:

ქ. თბილისის დიდ სა-



კონცერტო დარბაზში 2023 წლის 8 მაისს გაიმართა 86 წლის იუბილარი კომპოზიტორის საავტორო კონცერტი "იყო და არა იყო რა".

სცენიდან გაუღერდა პიტაქცეული და მანამდე აუმღერებელი სიმღერები. მრავლისმთქმელია იმ ფაქტის დასახელება, რომ საიუბილეო საღამოში მონაწილეობდა ... 120-მდე მომღერალ-შემსრულებელი, ხოლო მსვლელობის ხანგრძლივობამ 3 საათზე მეტი შეადგინა.

თეატრალიზებულ ორგანოფილებიან კონცერტში ჩართული ესოდენი რაოდენობა სადღეისოდ გასაკვირია, აქ იყო ქართული ესტრადისა და ოპერის ყველა ცნობილი სოლისტი, გასცენიურდა ბევრი სიურპრიზი შინაარსობრივი, სანახაობრივი და პერსონალური თვალსაზრისით, შედგა 4 პრემიერა, სიმფონიური ორკესტრის, ბენდის, როიალისა და გიტარის ჩართულობით...

10 დეკემბერს...

- უმეტესად დამით ვმუშაობ. ასეთი რეჟიმი ჩამომიყალიბდა ათწლეულების განმავლობაში. დღისით როგორ მოვიცილი ჩემი საქმისათვის - აქეთ ოჯახი, მიმსვლელ-მომსვლელი, პედაგოგიური საქმიანობა, იქით ათასი საზრუნავი... აი, დამით კი ვინ მყავდა ხელშეშლელი. თავს უფლებას ვაძლევდი, დამისულ სიმშვიდესიჩუმესა და სიწყნარეში გასაქანი მიმეცა ფანტაზიისათვის, მუზისათვის, მუსიკისმიერი შთაგონებისათვის, ყველა სიმღერა ასე შექმენი... ჰო, ორი-სამიოდე საათის ძილი სრულიად საკმარისია, დილით დასვენებულად ვიგრძნო თავი. ეს ჩემი საყვარელი საქმეა და არ ვიღლები, საქმემ როგორ უნდა დაგდალოს?

- მე ის მიხარია, რომ ჩემი სიმღერები წლების განმავლობაში არ ბეზრდებათ, თაობიდან თაობას გადაეცემა, როგორც სპორტული ესტაფეტა. სწორედ ხალხია მთავარი

შემფასებელიცა და დამფასებელიც. ეს სხვადასხვა ცნებაა, განა ასე არაა? - ვერ შემფასებელი პუბლიკაა საჭირო, ვისაც ესმის და უყვარს ქართული სიმღერა. მერე დამფასებელიც გამოჩნდება! ჰოდა, რაც მოდის, ის მოდის. ქართული სიმღერა მუდამ მართალი და მუდამ კეთილმოდუნად-მუღერი, ჯაჭვისებურად უწყვეტად მოდის და მოდის!

- კი, ნამდვილად მიმარინია, რომ ჩემი ცხოვრებისეული დიდი გამოცდილებიდან, გარდახდილი და გადატანილი ამბებიდან თუ შემოქმედებითი წარმატებების მრავალმხრივობიდან გამოძინარე, სიცოცხლეში ყველა სიკეთე გავეცი და, ამასთანავე, თვითონაც მივიღე უპიშება!

- სოფლად ცხოვრების ბედნიერება არასოდეს მქონია, სულ ქალაქურ ყოფაში გადის ჩემი წუთისოფელი. მაგრამ რა დამაიწვევს იმ ბავშვურ ბედნიერებას, როცა დედაჩემის მხრიდან ჩვენიანებთან მივდიოდი ხოლმე კავთისხევიში, ხოლო მამის მხრიდან - ახალქალაქში. ძალიან გამინარდა, ამ სოფელს ისტორიული სახელი რომ დაუბრუნდა: "მეფისქალაქი". ან ერთგან, ან მეორეგან როცა ვსტუმრობ, ეს კი ბოლო ხანებში ხშირად მიხდება, საოცარი განწყობა მიუფლებია, თითქოს ისევ მიცოცხლებიან ჩემი სახელოვანი წინაპრები, ისინი ხომ ორივე მშობლის მხრიდან ამ სოფლებში განისვენებენ, ცხონდეს მათი სულები.

- მინდა, ვითხრათ, რომ კასპიე ჩემია, კავთისხევიცა და მეფის ქალაქიც. გული ყოველთვის მომიწევს კავთურისა და თემის სანახებისაკენ. ნამდვილად ასეა, მთელი ქართული ჩემია, ვორი ხომ ბების, მარიამ (მარო) თარხნიშვილის საცხოვრისი და საძოღვაწეო ადგილია. ჰოდა, ვენაცვალე ჩემს ქართლს...

- ამჟამადაც შემოქმედებითად დატვირთული განრივი მაქვს: მალე დაიბეჭდება მოგონებების წიგნი, რომელშიც დასასრული იხ. გვ.5.

დღემდე მომყვები-
ან ჩემი ბავშვობის ახალი
წლები - მოხარული
გოგრის, თაფლში მოხა-
ლული ნიგვზისა და „ბე-
ლის კვერების“ სურ-
ნელით, მეკვლავსთვის
ხილითა და ტკბილეულ-
ჩირუღით გადავსებული
დიდი ხონჩით, მაიცდამინც,
იმ ხონჩიდან რომ გვინ-
დოდა შოკოლადების მო-
პარვა... ახალ-ახალი
ჩურჩხულებით, საშობაო
ლიქიორის ტკბილ - მწარე
ყლუბებით, კაკლისა და
ლეღვის მურაბებით, შე-
შის ღუმელზე აქოთქოთე-

ბული ჩაიდნით, ეზოში
ერთმწკრივად გაკვალული
თოვლის ბილიკითა და
ბიძაჩემის სანადირო
თოფის დაჭეკებით. ვერ
ვძლებდით ბავშვები და
თორმეტ საათამდე ათი -
თხუთმეტი წუთით ადრე
გვალვებდნენ. იმ ძილ-
ბურანის ცხადებზე გიამ-
ბობთ.

ყველაფერი ბავშ-
ვებისთვის იყო. სწორედ
ამიტომ, დღემდე ბავშვებ-
ის მგონია ახალი წლის
დღესასწაული, ბავშვებისა
და ბავშვობის ემოციების
გაცოცხლებისა... სხვა რა

ძალამ უნდა დაგარწმუნ-
ოს იმაში, რასაც აღფრ-
თოვანებული შესციცინებ,
ელოლიავები და ეფერე-
ბი...

დღეს, როცა საკ-
მარისად დიდი ვარ იმ
ბავშვთან შედარებით, ვისაც
მთელი სერიოზულობით
სჯეროდა, რომ თოვლის
პაპამ ირმებიანი მარხილ-
ით ჩამოიარა და სა-
წოლთან თბილი ფეხსაც-
მელები დაუტოვა, და საკ-
მარისად პატარა იმ ქალ-
თან შედარებით, ვისი ალტ-
აცებაც არც ერთ ილუ-
ზიას აღარ შეუძლია, მინ-



**“როცა მომავალს
ვხვდები(თ) წარსულით”**

და, ვისურვო ბავშვის გული,
ბავშვის თვალები და
ბავშვის შემწყნარებლობა...
ხოლო სამყაროს ვუსურ-
ვო ბედნიერი ბავშვები, მშ-
ვილობა და კეთილდღეო-
ბა.

დღეს, როგორც
არასდროს, ისე მარტივია
ხელისა და თვალის მი-
წვდენა სხვა კონტინენ-
ტამდე, ქვეყნამდე, ქალაქამ-
დე თუ სოფლამდე. მარ-

ტივია სხვათა არსებობის
გათავისება, გააზრება,
ფიქრსა და გულში გამო-
ტარება, სწორედ ამიტომ,
ახალ, 2025 წელში, სი-
ბრძნე და გონიერება, გა-
ნახლება, გაბრწყინება, წყ-
ალობა უფლისა... ყველა
სიკეთე მინდა ვისურვო,
ჩემო მშობლიურო, გადალ-
ლილო გალაქტიკავ.

ნინო
მოდრეკილაძე, პოეტი.

ჩემო ქართველე-
ბო, ქვეყნის შიგნით თუ
მის ფარგლებს მიღმა მცხ-
ოვრებლებო! მოგმართავთ
ერთი რიგითი ქართველი,
ამჟამად ევროპულ შუაგულ
ქვეყანაში დროებით მყო-
ფი:

საქართველო ამ
დღემდეწაზე ერთადერთია,
როგორც მზე და დედამ-
შობელი. ასეა, ჩვენს
გულეში ჯერ დამბადე-
ბელი დედის სიყვარული
სახიერდება და მერე -
მამულისა, მზე-მანათობ-
ლისა. ის მუდამ ჩვენს
გულეშია - როგორც
ძვირფასი დედა ხმელეთზე
და ცის მნათობი ასტრალ-
ში...

მაინც როდინა
იწყება ქართული მიწის
სიყვარული? - ალბათ,

იგრძნობა მეტადრე მაშინ,
როცა გაიხურავ შენი
ეზოს ჭიშკარს, გასცდები
შენს ორღობესა და გზა-
შარას, გადაივლი შენი
სოფლის ხიდს და დაადგე-
ბი გრძელ გზას, ევროპუ-
ლი ცისქვეშ რომ ძალ-
ისძალიად გაცხოვრებს, გა-
მუშავებს.. არადა, ასეთ
დროს, როგორი ძნელია
ტარება თუნდაც მძიმე
შინაარსით დატვირთული
სახელისა “ემიგრანტი”...

ჰო, პირადად ცხ-
ოვრებაში ისე მომიხდა,
რომ განგებისიერად ჯერ
პორტუგალიაში აღმოვჩნ-
დი, სადაც წლების მან-
ძილზე ქალაქ სეტუგალ-
ში ვსაბაზობდი, ანუ პურს
ვაცხოვრებდი, მიმდინარე წლ-
ისათვის კი საფრანგეთის
ცა ვიფარე ქუდად და



**ემიგრანტები
საქართველო ჩვენს გულშია**

ქალაქ დიჟონში პორტუ-
გალიელ ახალგაზრდა მე-
გობრებთან ერთად
ელექტროვხელოსნობ.
მაგრამ, რომელ ქვეყანაშიც
არ უნდა გადამისროლოს
ბუდმა, თავზე მუდამ ქართუ-
ლი ქუდი მაფარია და არა

ძალიან მინდა,
მოვახერხო და ამ წინა-
საახალწლოდ მშობლიურ
კავთისხევეში დედასა და
შვილებთან ერთად შევეგ-
ებო ახალწლობის ნე-
ტარული ღამის ზეიმს.
მერწმუნეთ, ვერსად შეხ-
ვდებით კალენდარული
შობისა თუ ახალი წლის
პირველ დღეს ისეთი ამა-
ღლებული განწყო-
ბილებით, როგორადაც
შინაურ ჭერქვეითში, სა-
დაც საკუთარი ფუძის ან-
გელოზებიც შენთან ერ-
თად მოილხენენ ქართუ-
ლად, ანუ - ჩვენებურად,
მამაპურად, ისტორიულად,

ქრისტიანულად...
ჰოდა, დამდეგ შო-
ბასა და ახალწლობას
გილოცავთ, ჩემო კავთისხ-
ეველებო, ჩემო ქართველე-
ბო! გაგიმარჯოთ ყველას,
ვინც ახლა ქართული
ცისქვეშ ბინადრობთ!
ხელი მოგემართოთ თქვენ,
ჩემებურად ემიგრანტებო,
და შინ ადრე-მალე დაბ-
რუნებასა და კერიაზე კო-
ცონის გაჩაღებას ვისურ-
ვებთ!

ვასილ კერე-
სელიძე, ყველგან გუ-
ლით ქართველი (პორ-
ტუგალია-საფრანგე-
თი).

ჩემო ძვირფასო
კასპელებო, კოლეგებო,
მოსწავლეებო, მშობლებო!
გილოცავთ ახალ 2025
წლის დადგომას! ბევრი
სიკეთე, სიხარული, წარ-
მატება და ბედნიერება მო-
ეტანოს თითოეული
თქვენგანისთვის. მართა-
ლია, მე ამ ქალაქისა და
რაიონის მკვიდრი არ ვარ,
მაგრამ ჩემმა საქმიანობამ
დამაკავშირა თქვენთან.
დიდი ხანი არაა, რაც ჩვე-
ნი ქალაქის მე-3 საჯარო
სკოლის დირექტორი ვახ-
ლავართ და თავს უკვე ამ
ქალაქის ნაწილად
ვგრძნობ. აქ ხომ ჩემი
მოსწავლეები ცხოვრობენ,
რომლებიც ყოველ დილ-
ით სიყვარულითა და სით-
ბოთი მავსებენ. მეც ვცდი-
ლობ ასეთივე გრძობით
ვუპასუხო მათ. მართალია,
განათლებით იურისტი
გახლავართ, მაგრამ
გარკვეული წლები ჩემი
პროფესიული საქმიანო-

ბით განათლების სფერო-
ში მიწევდა მუშაობა.
სწორედ ამან მიბიძგა, მიმე-
ლო ის გამოწვევები, რომ-
ლებიც თანამედროვე სკო-
ლის წინაშე დგას და
გარკვეული საფეხურების
დაძლევის შემდეგ ასეთი
დიდი პასუხისმგებლობა
მეკისრა.

წლების წინ, ალ-
ბათ, ვერც წარმოვიდგენ-
დი, რომ რომელიმე სკო-
ლას ჩაუდგებოდი სათა-
ვეში. დიდ პასუხისმგე-
ბლობას ვგრძნობ ჩემი
პედკოლექტივის, მოსწავ-
ლეების, მშობლებისა და,
რაც მთავარია, საკუთარი
თავის წინაშე, რადგან მინდა,
გავაგრძელო ის საუკეთე-
სო ტრადიციები, რომ-
ლებიც სკოლაში დამხე-
და. კოლექტივი და მოს-
წავლეთა მშობლები
გვერდში ამომიდგნენ და
ვეცდები, გავამართლო მათი
იმედები.

ხშირად ვხვდები



ჩვენ ერთად დავძლიოთ პრობლემები

მოსწავლეებს და ვეცნო-
ბი მათ პრობლემებს, სურ-
ვილებს და ვცდილობ, დაე-
ხმარო მათ მოგვარებასა
და განხორციელებაში.

მიხარია, რომ სკო-
ლაში ბევრი საინტერესო
პროექტი განხორციელდა,
რომლებშიც თითქმის ყვე-
ლა საფეხურის მოსწავ-

ლე მონაწილე-
ობს. ერთ-
ერთია პროექ-
ტი
“მოაზროვნე”,
რომელიც რამ-
დენიმე ეტაპად
მიმდინარეობს
და მოსწავლეე-
ბის დიდ ინ-
ტერესს
იწვევს. თითქ-
მის ყოველ კვი-
რას ახალ-ახა-
ლი ღონისძიე-
ბებით გვანებიერებენ მოს-
წავლეები და მასწავლე-
ბლები.

დისციპლინა და
წესრიგი სასკოლო ცხ-
ოვრების ერთ-ერთ მნიშ-
ვნელოვან მხარედ მიმაჩ-
ნია. ამიტომაც ძალ-
ღონეს არ ვიშურებთ, რომ
სკოლაში ეს საკითხი

მოგვარებული იყოს, მაგრამ
სკოლაში ყველაზე მთა-
ვარი განათლების ღონეა.
მასწავლებლები ძალისხმე-
ვას არ იშურებენ, რომ
მოსწავლეებს კარგი ცოდ-
ნა მისცენ.

წლის განმავლო-
ბაში დაგეგმილი გვაქვს
რამდენიმე საგანში დიაგ-
ნოსტიკური ტესტირების
ჩატარება მოსწავლეთა
ცოდნის შემოწმებისა და
განმავითარებელი შეფასე-
ბის მიზნით.

მომავალ წელს
ბევრი პროექტის განხორ-
ციელება გვსურს. თი-
თოეულმა კათედრამ
დასახა სხვადასხვა
ღონისძიება და აქტივობა,
რომლებიც უფრო საინ-
ტერესოსა და ხალისიანს
გახდის მოსწავლეთა
სასკოლო ცხოვრებას.

ჩემი სურვილია, თითოეულ
მათგანს სკოლაში მოსე-
ლა მოუხაროდეს და ყოვე-
ლი დღე მათთვის სასიამ-
ოვნოდ მთავრდებოდეს.

2025 წელს ჩემს
სკოლას, პედაგოგებს, მოს-
წავლეებსა და მათ
მშობლებს წინსვლასა და
წარმატებებს ვუსურვებ.
მინდა, რომ ჩვენ ერთად
დავძლიოთ პრობლემები,
უკეთესი შედეგები და
წარმატებები გვქონდეს
ერთმანეთის თანადგომით.
განსაკუთრებით ჩემს მოს-
წავლეებს, ჩემს უმცროს
მეგობრებს, მინდა მივეფე-
რო და ბედნიერი და ლაღი
ბავშვობა ვუსურვო.

ანა ნემსიაშვილი,
ქ. კასპის №3
საჯარო სკოლის
დირექტორი.

**ბ ი ნ დ ა თ, გაეცნოთ საინტეხსო, საქმიან და მნიშვნელოვან
ცვლილებებს მუნიციპალიტეტის ცხოვრებიდან?**
**ბ ი ნ დ ა თ, გაიგოთ ეხისკაცთა მოხაზუბები საქართველოს
ცხოვრების პეხსპეტივიაზე?**

გამოიბეგრეთ “ახალი განთიადი”!

*მკითხველს შეუძლია
მოგვანოდოს სავტორი კროს-
ვორდში, შემეყნებით-გასარ-
თონი მასჯლოენი. შეუძლია
მოგვმართოს მისამართზე -
კასპი, საჯახის ქ. 68.*

*..ახალი განთიადი.. იძებნ
საინტერესო სურათებს წაიონის
სავტორი თოქო-მჯიანის
შეჯახმელოჯი.
თხოვნი მიეჭმართავთ
თანაწიონილოებს - რაყოფით
თქვენი ყჯალი ზეინს მჯეინსეში!*

“შობამან შენმან...”

(“შობამან შენმან, ქრისტე ღმერთო, აღმოუბრწყინა სოფელსა ნათელი მეცნიერებისა”)



ვიშრომით და გვქონდეს იმედი მომავლისა, ღვთის წყალობისა და ცათა შინაც მარადიული სიხარული მოგვებოვინოს.

შობა ქრის-

ტესი — ეს არის ზე- იმი დელამიწაზე მაცხოვრის დაბადებისა: “ღმერთი იგი კაც იქმნა, რათა კაცი ღმერთამდე ამაღლებულიყო”. მთელი სამყარო არნახული ზეიმით უნდა შეგებებოდა კაცობრიობის მხსნელს, მაგრამ ცის და ქვეყნის შემოქმედმა, გარეგნული ბრწყინვალეების ნაცვლად, დიადი უბრალოება და თავმდაბლობა ირჩია, ბავაში იშვა მაცხოვარი ქვეყნიერებისა, ციური სამყარო შეჰხაროდა მის ამ ქვეყნად მობრძანებას, მბრწყინავი ვარსკვლავი დაჰნათოდა ახალშობილ ყრმას და ანგელოსთა დასი უგალობდა ძეს ღმერთისას: “დიდება მაღალ-

თაშინა ღმერთსა ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება”. მწყემსნი და მოგვნი ღამის წყვილადში ვარსკვლავის შუქზე მიიჩქარიან ბეთლემის გამოქვაბულისაკენ და ჩვენ ანთებული სანთლებით, მათთან ერთად, რწმენით მიგვახლოთ ახალშობილ ყრმას და ოქროს, გუნდრუქისა და მურის ნაცვლად, მთავრთვით მდაბალი, მონაწილე, მოსიყვარულე და მადლიერებით სავსე გული, რათა ჩვენშიც იშვას ყრმა ახალი პირველ საუკუნეთა ღმერთი.

+ დეკანოზი გიორგი (მურდული), სამთავისის მაცხოვრის ამაღლების ტაძარი.

„...და იახვარიც მოიწოდება შინის ვარსკვლავით...“

დასასრული. დასაწყ. იხ. გვ-3. ჩემი ლექსებიც შევიტანე; შევეჭვიდე კიდევ უფრო გრანდიოზულ პროექტს, რომელსაც, ქვეყნად თუ სიმშვიდე გვექნა, საგაზაფხულოდ განვახორციელებ. სცენაზე 147 მონაწილე გამოვა.

მიიღეთ ჩემი მილოცვა სხვა რა შემთხვევაში ვუსურვო კასპელებს, რაიონსა და თქვენი გაზეთის მკითხველებს, თუ არა ყოველგვარი ადამიანური სიკეთე და მშვიდობა. ახალი წელი

ყოფილიყოს ბედნიერების მომტანი, რასაც კი თითოეული თქვენგანი ინატრებდა. ერთი მთავარი - გვიყვარდეს ერთმანეთი! სადაც სიყვარულია, იქ ბედნიერებაც სუფევს და სიკეთის ხეც ხარობს!

დაბოლოს... 2025 წლის გაზაფხულზე (ალბათ, მარტში) საზეიმოდ და ოფიციალურად გაიხსნება ქ. კასპის ომარ კელაპტრიშვილის სახელობის კულტურის ცენტრი. დაე, ასრულდეს კარ-

გი ჩანაფიქრი! როგორ დაშვენდებოდა განახლებული და რეაბილიტირებული კულტურული კერის ახალ გაჩანჩახულ დარბაზსა და სცენას, თუნდაც პირველივე დიდი საკონცერტო ღონისძიების სახით, ჩვენებური სახელოვანი კომპოზიტორისა და პედაგოგის — მარიამ (მარიკო) კვალიაშვილის შემოქმედებით საღამო. აი, უკვე სამაისოდ! ვარდობისთვე ხომ მისია, დიდი მარიამის საიუბილეოა! ჰოდა, მთავრთვით ვარდები და გადაუშალოთ ჩვენი გულები — ლეხურისპირულად, კავთურისპირულად, თემისპირულად! ამირან ტალახაძე.

სიმატლით გავლოთ!

გილოცავთ შობა-ახალ წელს! გისურვებთ ბედნიერებას, სულიერ და მატერიალურ სისასვეს, სიბოლო და სიყვარულს.

ხედება ახალ წელს, მოლოდინით ცვლილებებისა უკეთესობისაკენ, მოლოდინით, რომ დადგება სურვილების ასრულებისა და მიზნების განხორციელების დრო, ახალი წელი ხომ ცუდის დავიწყე-



ბის და ახლის შემობრძანების სიმბოლოა. დღეს, როგორც არასდროს, ისე გვჭირდება მიტევება, ერთმანეთის გამხსნევება, გვერდში დგომა და ერთმანეთზე ზრუნვა. როგორც არასდროს, ისე უნდა შევიყვართ და მოვეფეროთ ჩვენს საფიცარ სამშობლოს, ვილოცოთ, რომ ღვთისმშო-

ბელმა კიდევ ერთხელ იხსნას ათასი ჯურის მტრის შემოსევისაგან. მხოლოდ ერთად ყოფნით, ნათელი გონებით, მუხლჩაუხრელი შრომით მივალწევთ გამარჯვებას ამ უთანასწორო ბრძოლაში. ჩვენ მართლები ვართ, სიმართლე ყოველთვის იმა-

რვევებს! გილოცავთ 2025 წლის შემობრძანებას! სიმატლით გეგლოთ უფლისკენ სავალ გზაზე, ჩემო თანაქალაქელებო! უფალს ვეპარებოდეთ! მამუკა ბერიძე, სამედიცინო ცენტრ შპს “მარიამის” დირექტორი.

გააზრებულად, გონიერად და არა მხოლოდ ემოციით



70 წლის კაცი ვარ და არაფერი მიკეთებია ახალგაზრდებთან საქმიანი ურთიერთობის გარდა. 48 წელია, რაც განათლების სისტემას ვემსახურები. ჩემი მუშაობის თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე ჩვენ ქვეყანაში მინახავს როგორც ნათელი, ისე ნაცრისფერი დღეები. 35 წლის ვიყავი, როცა 1988 წლის ნოემბერში, უზენაესი საბჭოს (დღევანდელი პარლამენტის) შენობის წინ იდგა უამრავი ხალხი

და პროტესტს გამოთქამდა სსრ კავშირის მამინდელი ხელი სუფლები სწინააღმდეგ. ადამიანების ნაწილი შიმშილობდა. რაც მოხდა 1989 წლის 9 აპრილს, ყველას კარგად მოეხსენება. დაიღუპა ბევრი ადამიანი, რომელთა შორის უმრავლესობა იყო ქალი. ამის შემდეგ დაიწყო ძლიერი ეროვნული მოძრაობა, რაშიც ჩართული ვიყავი მეც. 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებზე ყვე-

ლაფერი დაგვირგვინდა ზვიად გამსახურდიას “მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველოს” ისტორიული გამარჯვებით. თითქოს, უნდა დაწყებულიყო ახალი ცხოვრება, მაგრამ, შემდეგ რაც მოხდა, ჩემი აზრით, ქართველი ხალხის ცხოვრებაში შავ ლაქად დარჩება. ერი გაიხლიჩა და უბინძურესად, იარაღით დაუპირისპირდა ერთმანეთს. შემდეგ, იყო ომები აფხაზეთსა და შიდა ქართლში. ჩემი თვალთმაქც ნანახი, როგორ დარბოდა ხალხი შიმშილსა და გზაბნეული. აღნიშნულ პერიოდში იყვნენ ადამიანები, რომლებიც, მართლაც, გმირულად, ვაჟკაცურად იბრძოდნენ და იცავდნენ საკუთარ მიწას. იყვნენ ადამიანები, რომლებიც ომში არ წასულან, მაგრამ თავის პროფესიულ საქმეს აკეთებდნენ. ასეთთა რიცხვს მიეკუთვნება ჩემი ოჯახი. 2008 წლის

11 აგვისტოს, როდესაც კასპში ჩამოვდეს ბომბი და ცაში შავი ფერის საბრძოლო თვითმფრინავმა გადაიფრინა, ჩემს უბანში თითქმის ყველა გახიზნული იყო და რამდენიმე ადამიანი ვიყავით მხოლოდ. ჩემი მეუღლე საავადმყოფოში მიდიოდა და თავის პროფესიულ საქმეს ემსახურებოდა. ასევე ვიყავი მეც, ჩემი საქმით დაკავებული. გადიოდა თვეები, წლები და შიდა დაპირისპირება კვლავ გრძელდებოდა. უკვე 35 წელია, რაც ამ სიტუაციაშია ქვეყანა. როდემდე შეიძლება გაგრძელდეს ეს? ვერ გეტყვით, მაგრამ ხალხის აბსოლუტური უმრავლესობა რომ დაიღალა და აღარ უნდა ქვეყანა ასეთ მდგომარეობაში იხილოს, ფაქტია. თუ, ქვეყანაში, კანონის უზენაესობა დაცული არაა, ყოველთვის ქაოსია. მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე, მომწონს თუ არა იგი, კანონის წინაშე

ვალდებული ვარ ვვარდნობ და მაქსიმალურად ვცდილობ, ვიყო მართალი. ადამიანის ფიქრი და განცდა იმით არ უნდა იყოს დაკავებული, რომ რაც მოუნდება ის გააკეთოს. ზღვარგადასული თავისუფლება ნათელს ვერ მოჰყვანს ვერც ადამიანის და მით უმეტეს - ვერც ქვეყნის მომავალს. ჩემი 48-წლიანი მუშაობის განმავლობაში აღზრდილი და სწორ გზაზე დაყენებული მყავს უამრავი ახალგაზრდა, რომელთა პატივისცემას ვვარდნობ ყოველ ეტაპზე. ამიტომ, ვიტოვებ უფლებას და მივმართავ ყველას, მთავრთვით და შვილიშვილებს, იცხოვრეთ ცხოვრების ისეთი წესებით, რაც არც თქვენ მოგიტანთ ზიანს და არც ჩვენ ჰატარა, მაგრამ საუკუნეების მანძილზე გამობრძმედილ ქვეყანას. სკოლის მოსწავლეებსა და ახალგაზრდებს მინდა ვთხოვო - იკითხეთ ბევ-

რი, იზრუნეთ თქვენს განათლებასა და კულტურაზე, რათა ღირსეულ საზოგადოებებში დაიმკვიდროთ ღირსეული ადგილი. ძალიან ფაქიზია ბავშვებთან ურთიერთობა. მათი ყოფნის სივრცე ძირითადად უნდა იყოს მშობლებთან, პაპა-ბებიებთან და პედაგოგებთან. ბავშვის მომავლისათვის მხოლოდ ფიზიკურად ჯანმრთელობა არაა საკმარისი. ჯანმრთელობასთან ერთად იგი უნდა აღიზარდოს ისე, რომ მომავალში გამოადგეს ქვეყანას. კატეგორიულად არ ვეთანხმები არასრულწლოვანი ბავშვების მიმართ წამოწყებულ კამპანიას. დანაშაულად მიმაჩნია იმ ადამიანების მოქმედება, ვინც ხელისშემწყობებად გვევლინებიან ასეთი პროცესების ბიძგისაკენ. სწორედ ჩემი განვლილი ცხოვრება მადლებს იმის საშუალებას, რომ მოწი-

წებით გესაუბროთ დიდაქტივით. პატივი ვცემ ჩვენს ენას, ჩვენს წარსულს, ვიფიქროთ დღევანდელობასა და ხვალისპირებითა და ემოციებით ჩვენვე არ შეგვწყუროთ ხელი მტერს, რათა სულიერად თუ ფიზიკურად დაპყრობილებს აღარ გვქონდეს იმის საშუალება, რომ ხვალისდელი დღე განვაგვიტაროთ ქვეყნის სასიკეთოდ. არავის დაავიწყდეს, რომ ჩვენი რაიონის გვერდით დგას უცხო ქვეყნის ჯარი. მალე მოვა ახალი წელი და სურვილი მაქვს, ჩვენი ხალხი იყოს მშვიდად და ბედნიერად. მინდა ვიცხოვროთ გააზრებული გონებითა და არა ემოციებით. ყველას გისურვებთ მომავლის განვითარებაზე სერიოზულად მოფიქრალ საზოგადოებაში ყოფნას. ბესიკ ნიპარიშვილი.

მოსწავლეობის წლებში მესაზღვრეთა გაბედულ, რომანტიკულ და გმირულ ცხოვრებაზე წიგნებიც წამიკითხავს (ნოდარ დუმბაძე ჩემს საყვარელ მწერლად დღემდე რჩება!) და ფილმებიც მი- ნახავს. ეს კია, სკოლასა თუ უნივერსიტეტში სწავლისას ვერც კი წარმოვიდგენდი, სამხედრო მუნდირსა და კომუნიკაცი- ბულ ფორმას ჩავიცვამდი და ქვეყნის დაცვის სამსახურში ვიქნებოდი. მაგრამ, 1988 წლიდან, როცა

სავალდებულო სამხედრო სამსახურმა მომიწია და ჯარისკაცის ფორმა მოვირგე, დღემდე აღარ გამიხდება. მართალია, იურიდიუ- ლი განათლება მაქვს, პროფესიით ერთი დღეც არ მიმუშავია, ბედმა ისე ინება, რომ ქვეყნის დამცველი მრჩემოდა! 1988-2003 წლებში ვიმსახურე სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში (სდსს), 2006 წლიდან 2012-მდე ვირიცხებოდი შეიარაღებული ძალების (შმ) შემადგენლობაში (სა-

დაც მივიღე მედალი “უმ- წიკვლო სამსახური- სათვის”), ხოლო 2013 წლიდან დღემდე ვმსახურობ შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციაში და ვიცავ სახელმწიფო საზღვარს ერთ-ერთი რთული სადე- მარკაციო ხაზის პერიმეტრულ მონაკვეთზე. განვლილი სამსახურებრივი წლების გადახედვისა არ მერიდე- ბა. პირიქით, სიამაყით მაკვსებს, რომ ვარ საქართველოს ჯარისკაცი

(როგორც თავის დროზე ჩემი პაპა - მეორე მსოფ- ლი ომში, ჩემი მამა - ქართული არმიის ყოფილი ოფიცერი)! ჩემი და ჩემი თანამოსამსახურეების სურვილია, რომ დაგვეცვათ გაერთიანებული საქართვე- ლოს საზღვარი. დაე, ქვეყ- ნის საზღვრის “კეთილი დამრღვევი” მხოლოდ კალენდარულად ახალი წლები ყოფილიყოს ხოლმე! ახლოვდება ახალი წელი და მინდა, ყვე-

მე - საქართველოს ჯარისკაცი!

ლა ყოფილ თუ მოქმედ ფორმიან კოლეგას, ოფიცერთა შემადგენლო- ბას მივულოცო 2025 წლის შემობრძანება, ჩვენს ხალხს კი ვუსურვო მშვიდობიანობა შინ და გა- რეთ, ცხოვრებისეული კეთილდღეობა, წინსვლა და წარმატებები!



მიხეილ ტალახაძე, შს სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის მოსამსახურე.

ჩემო ძვირფასო თანაკლასეებო, კასპელებო, კავთურისხეობელებო! მოემართათ ჩვენი მუნიციპალიტეტის ერთი დიდი და ძველი სწავრამოს, სააქციო სა- ზოგადოება “კასპ- იელექტროაპარატის” მთლიანი შრომითი კოლექტივის და ვეტერ- ანთა სახელით. ორიდღე წლის წინ მას დაარსე- ბიდან 65-წლისთავი შეუს- რულდა. აქ მოვედი საშუ- ალო სკოლის დამთავრე- ბისთანავე და, აგურ, საგაი- სოდ, ელექტრომეპარატ- ედ მუშაობის ექვსი ათეუ- ლი წელი შემისრულდე- ბა. ასე რომ, იგი ჩემთვის,


ნამდვილად, მეორე ოჯახ- ია. ჩემთვის, როგორც რიგ- ითი ქართველისა და მუშა- კაცისათვის საანგარიშოდ მიწურული წელი ერთგ- ვარად წარმატებული გამოდგა პირადი შემო- ქმედებითი თვალ- საზრისით. საკუთარ სა- გამოფენო არქივს 10-მდე ფერწერული ტილო შეე- მატე. ჩემთვის რჩეული მხატვრის ეტალონია ქართველი ფერმწერი - ალექსანდრე ციხელაშ- ვილი. ამ ხანდაზმული შემოქმედის პანორამული ტილოებით დამშვენებუ- ლია ჩვენი ქარხნის საგა- მოფენო გალერეა. როგორც მისთვის, მხ-

ატვრობა ჩემთვისაც ცხ- თოვრების განუყრელი ნაწ- ილია. ასევე, ვარ ჩემი ქვეყნის გულმხურვალე მოქალაქე და ჩემთვის უმთავრესი მოვალეობაა მამულის სიყვარული, სარ- წმუნოებრივი შეგნება და წინაპართა ადგილ-სეების დაცვა. გულით მეფიქრება საქართველოს ზვალინდე- ლობაზე. აი, ვაცილებთ კიდევ ერთ კალენდარულ წელს, რომელიც ყოველი ჩვენგანისათვის გამოდგა საკმაოდ დატვირთული პოლიტიკური ტემპერატუ- რით, საქვეყნო პრობლე-

მების გადაჭრის საშუალე- ბათა მიხედვით. ვფიქრობ, ჩვენი ხალხი ახლაც გა- დაიტანს და გადალახავს ყველანაირ სიმძიმებს და ორი წლის მიჯნაზე როგორც ხდება ხოლმე, ჩვენს გულებში ისევ ღვივის იმედი უკეთესი ზვალინდებობისა, სავალი გზის არჩევა-მიგნებისა. ასეთ დროს უმთავრესია, რომ ჩვენს ქვეყანაში დაე- სადგურებინოს საყ- თველთაო მშვიდობას, სა- წველს, რომელიც ყოველი ჩვენგანისათვის გამოდგა საკმაოდ დატვირთული პოლიტიკური ტემპერატუ- რით, საქვეყნო პრობლე-

გულით მეფიქრება საქართველოს ზვალინდებობაზე

ოთ პირადი ჯანმრთელო- ბა, კარგად ყოფნა, სამშობ- ლოს ერთიანობა, ყოვე- ლივე საუკეთესო, ყოველდღიურობაში სასიკეთო წინსვლა, ჩვენი სახვალის პროგრესული ინტეგრაცია! გივი შეშაბერიძე, სს “კასპიელექტროა- პარატის” მუშა (მედალ- ოსანი “პროფესიული დამ- საზღვრებისათვის” - 2016 წ.), მხატვარი (რამდენიმე პერსონალური საქალაქო და რეგიონული გამოფე- ნის მონაწილე).



სხვადასხვა
ჭიდაობა სამბო: ქუთაისელი დამსახურებუ- ლი მწვრთნელის, გივი სარდანაძის, საიუბილეო სახელობით საერთა- შორისო ტურნირში წარ- მატებით გამოვიდნენ კას- პის სპორტგაერთიანების მოსწავლე-სპორტსმენები: კასპელი ერეკლე მჭედელაძე (50 კგ-ის კატ- ეგორია) და მეტეხელი არჩილ ხიზანიშვილი (79 კგ.). პირველის მწვრთ- ნელია კახა ზუბაშვილი, ხოლო მეორისა - დავით გეგვაძე.
შეჯიბრება რიონ- ისპირა ქალაქში 8-9 დე- კემბერს ჩატარდა.
ჭადრაკი: ნოემბრის ბოლო დღესა და 8 დე- კემბერს წლიური დასკვნითი პირველობები გამართეს ქალაქისა და სოფლების საჯარო სკოლების ნორჩმა მოჭ- ადრაკეებმა. პირველად 8 და 10-წლამდელები მიუსხდნენ სათამაშო დაფებს, მერე კი 12 და 14-წლამდელები. აი, ისი- ნი, ვინც გახდნენ საჭადრა- კო მუნიციპალური პირველობის ჩემპიონები და პრიზიორები:
8-წლამდელები: დათო ოქროაშვილი (მე- ფისქალაქი), ლილე ნავრო-

ზაშვილი და ირაკლი გორ- გაძე (ზემო ხანდაკი);
10-წლამდელები: პეტრე ქოსაშვილი (სკო- ლა-გიმნაზია), დემეტრე ქვრივიშვილი (ზემო ხან- დაკი) და თეკლა ქებაძე (კასპის მესამე სკოლა);
12-წლამდელები: ნიკოლოზ და გაბრიელ ქებაძეები (ორივე მესამე სკოლა), ლუკა აზმაი- ფარაშვილი (მეტეხი);
14-წლამდელები: ანდრია ზაქარაშვილი (კასპის პირველი სკოლა), ირაკლი ნავროზაშვილი (მეფისქალაქი) და ნი- კოლოზ ბექაური (კასპის მესამე სკოლა).
ტაეკვონდო: ქ- თბილისში 4-6 დეკემბერს გამართული საქართვე- ლოს ჩემპიონატიდან კასპ- ში პრიზიორების ჯილ- დოებით დაბრუნდა კლუ- ბი “კასპის ტაეკვონდო- კარატეს” ორი მოსწავ- ლე - დემეტრე ნავრო- ზაშვილი და ლანა დავი- თაშვილი (მწვრთნელი - ალექსანდრე მანძულაშ- ვილი).
კიბოქსინგი: ქ- თბილისის ღია ჩემპი- ონატი, რომელიც დამსახ- ურებული მწვრთნელის, ლეონიდ პოლოსიანის ხსოვნას მიეძღვნა, კარგად გამოვიდნენ კასპის სპორტგაერთიანების **გაგრძელება იხ ვგვ.**

20 იანვარს 88 წელი შეუსრულდა
უმანგი მოსიაშვი- ლის ხანგრძლივი და საინ- ტერესო ცხოვრება ნათელი დასტურია იმისა, თუ როგორ უნდა ემსახურო მშობლი- ურ ქალაქს, რაიონს, სამშობ- ლოს. უმანგი მოსიაშვილი დაიბადა ქალაქ კასპში, დაამთავრა №1 საშუალო სკოლა, ქალაქ ივანოვის ქიმიურ-ტექნოლოგიური ინ- სტიტუტის მექანიკური ფაკულტეტი. ქარხანაში მუშაობა დაიწყო მწრთობე- ლის პროფესიით. მუშიდან დაწყებული ყველა საფეხ- ური გაიარა, ქარხანა “კასპ- იელექტროაპარატის” დირექ- ტორობა დაიმსახურა.
“უძრავობის წლებ- ში” “კასპიელექტროაპარა- ტი” საკავშირო დაქვემდე- ბარებაში იყო. ამიერკავკა- სიაში ასეთი ქარხანა დღესაც ერთადერთია. ფარ- თო იყო მისი ასორტიმენ- ტი - მართვის ფარები, მარ- თვის სხვადასხვაგვარი სისტემები, ხაზები და სხვა. სხვას რომ თავი დავანებოთ, კოსმოსური ფრენის ცენტრ ბაიკონურის პოლიგონი აქუ- რი აპარატურით არის აღ- ტურვილი. “ოლიმპიადა - 80”-ის დროს მოსკოვში დაწინაურდა, ვილნიუსში და სხვა ქალაქებში ოლიმ- პიადის ჩატარებისათვის საჭირო ყველა მშენებარე ობიექტი “კასპიელექტროა- პარატის” აპარატურით იყო დაკომპლექტებული; დღემ- დე ინახება თბილისის

ყავის სეზონი

90-იან წლებში, როცა გათიშა ელექტრო- ენერჯია, შეჩერდა ბუნებრივი აირის მოწოდება, უმანგი მოსიაშვილი ამზადებდა შე- შის ღუმელებს და ურიგებ- და თანაქალაქელებს. პარალელურად შუქის “სპონტანურად წასვლა-მოს- ვლით” დაზიანებული საო- ჯახო გაყვანილობები ისევ “კასპიელექტროაპარატის” დახმარების იმედად იყო და იღებდა დახმარებას.
უმანგი მოსიაშ- ვილმა შექმნა საქართველოს ისტორიის ამსახველი ფერ- წერილი ტილოების მუზეუმი. ნებისმიერი დო- ნის სტუმარს შეგვიძლია თვალნათლივ დავანახოთ საქართველოს ისტორიის ყველა მნიშვნელოვანი და საკვანძო მოვლენა.
ჩვენს წილ დაუბნთ, ნებისმიერი ქალაქი იამაყებ- და ასეთი მუზეუმის არსე- ბობით. უმანგი მოსიაშვი- ლის მოღვაწეობის გვირგვ- ინად უნდა ჩაითვალოს კას- პის ცენტრში გორგასლის ტაძრის გვერდით მის მიერ აშენებული იონან ნათლისმ- ცემლის სახელობის ტაძარი. ის ძიული ცხოვრება იყო მშობლიური ქალაქის მარ- თლაც მუხლმოუსრელი კირითხურო და მშენებელი. ჩვენ, მისი მეგობრები, ყოველთვის ვაღიარებდით, რომ ათწლეულების მერეც არა ერთხელ გაიხსენებს ქალაქი მის მემკვიდრეობას.
სადაც უმანგი მოსიაშვილი აქტიური მონაწილე არ ყო- ფილიყოს.
სასმელი წყლის ნაკლებობა კასპის მოსახლე- ობისათვის დღესაც საჭირო ბოროტო საკითხია. თავის დროზე ამ მხრივ მნიშვნელო- ვანი საქმე გააკეთა “კასპ- იელექტროაპარატის” მექან- იკური სამაქროს უფროსმა უმანგი მოსიაშვილმა. მისი უშუალო ხელმძღვანელობით კომპლექსურმა ბრიგადამ ყველა სამონტაჟო სამუშაო შეასრულა და “შიოს წყა- რო” ქალაქის წყალსადენს შეუერთდა.



კასპის მუნიციპალური სპორტის ისტორიაში წლის მიწურულს ახალი ფურცლები იწერება, თავფურცელი უკვე შეივსო...

ლესურისპირა ქალაქში პირველად ჩამოყალიბდა პროფესიული კლუბი. მას ჰყავს პრეზიდენტი და სამწვრთნელო ჯგუფი, ოფიციალური სპონსორ(ებ)ი, გააჩნია სამედიცინო უზრუნველყოფა და მედიამხარდაჭერა. შემოსილია უახლესი დიზაინის სპორტული ფორმით, რომელსაც ამშვენებს ორიგინალური ლოგო. კლუბთან ორმხრივი კონტრაქტი გაფორმა 12 გამოცდილმა კალათბურთელმა, შემადგენლობა დაკომპლექტებულია ზედმიწევნით გამოცდილი და ახალგაზრდა მოთამაშეებით. მათ შორის სამი ამერიკელი კალათბურთელია.

... კასპში ასეთი კლუბის (გუნდის) შექმნის იდეა მას შემდეგ მოარულობდა, რაც ჩვენს ქალაქში 2017 წელს გაიხსნა საკალათბურთო დარბაზი (იგი სპეციალიზებულია არა მარტო



სპორტული, არამედ სხვა კულტურულ-სანახაობრივი გამოყენების მიზნითაც).

და, აი, კეთილჩანაფიქრს თავი დაედგა. როგორც ამბობენ, – სჯობს გვიან, ვიდრე არასოდეს!

სწორედ რომ დროულად გამოჩნდნენ კალათბურთზე ფანა-

ტიკურად შეყვარებული ადამიანები და მათი საქმიანი მხარდამჭერები – საქართველოს კალათბურთის ფედერაციის, სპორტული პრესის, მუნიციპალური სახელისუფლებო და ადმინისტრაციული ორგანოების, ადგილობრივი სპორტგაერთიანებისა და სამსახურის,



საქართველოს საბანკო და ბიზნესპარტნიორების ღონეზე.

გასული ნოემბრის განმავლობაში განახლდა და ხელი შეეწყო სათამაშო დარბაზს, სადაც “გრიფინი” ივარჯიშებს კიდევ და ოფიციალურ მატჩებსაც გამართავს ქვეყნის საკალათბურთო პირველობის “ა” ლიგაში (მეორე უმაღლესი ლიგის შემდეგ) – შეიცვალა სათამაშო ფარები, შეკეთდა ელექტროტაბლო, გასახდელელები...

დეკემბრის დასაწყისში “გრიფინმა” ინტენსიური სავარჯიშო ციკლი გაიარა კასპის სპორტულ მოედანზე და



თბილისის სპორტის სასახლეში. ასევე, ამხანაგური სპარინგ-მატჩი გამართა ქ. რუსთავის ძლიერ გუნდთან, რომელიც უკვე თამაშობს “ა” ლიგაში და დაამარცხა. შემდეგ კი საკვალიფიკაციო ეტაპის თამაშები ჩაატარა თბილისის “შიელის” კლუბთან: 8 დეკემბერს თბილისის ახალი სპორტის სასახლეში იგი დაამარცხა 13-ქულიანი

“გრიფინი” პირველად აფრინდა და..

სხვაობით, 15 დეკემბრის განმეორებითი თამაში კი 10-ქულიანი სხვაობით მოიგო.

ჩვენი გაზეთის გამოცემის გრაფიკი არ იძლევა სა-



შუალეხას, თუ როგორ ჩაატარა “გრიფინმა” ჯგუფური შესარჩევი თამაშები (“შიელის” ძღვევის შემთხვევაში 23 და 26 დეკემბერს დაუპირისპირდებოდა “ასტრალის” კლუბს...). ამდენად, შემდეგი სპორტგვერდის გამოშვებაში საკალათბურთო თემა გაგრძელდება.



ჭილაობა



ირაკლი დემეტრაშვილი – წლის საუკეთესო სპორტსმენი

სადაღესოდ ქართული სპორტის დიდება უკვე მათ მოაქვთ და მათ მხრებზეა გადასული, ვინც მიმდინარე საუკუნეში არიან დაბადებული. ასეა, ვეტერან სპორტსმენებს (მათ შორის – მოჭ-

იდავეებს) ახალგაზრდები ენაცვლებიან და, რაც გასახარია, წინათა მიღწეულს ახლა ესენი ამრავლებენ. ჩვენი მუნიციპალიტეტის მოქმედ ახალგაზრდა მოჭიდავეთაგან

სტაბილური შედეგაწიებით გამორჩეულია 22 წლის ძიუდოსტი ირაკლი დემეტრაშვილი (დაბადებულია 2002 წლის სექტემბერში).

2024 წლის სპორტული სეზონი ირაკლიმ წარმატებით განვლო. კერძოდ, გაიმარჯვა და გაჩემპიონდა საერთაშორისო რამდენიმე პრესტიჟულ პირველობასა და ტურნირზე. იგი პირველი იყო ევროპის 23-წლამდელთა ჩემპიონატზე პოლონეთის ქალაქ პილაში. ასევე, გახდა გამარჯვებული ევროპული საუნივერსიტეტო თამაშებისა (უნივერსიადისა) უნგრეთის ქალაქ მიშკოლცში. აღსანიშნავია, რომ ჩვენმა მძიმეწონისანმა ჭაბუკმა ორივე ღონეზე გააუმჯობესა 2023 წელს მიღწეული ანალოგიური შედეგები, როცა ევროპულ პირველობაზე მეორე იყო გერ-

მანულ პოტსდამში, ხოლო ზაფხულის მსოფლიო უნივერსიადზე – მესამე (ჩინურ ჩენგდუში).

ირაკლი დემეტრაშვილი გამოსულია ქართული ჭიდაობის წიაღიდან, ფეხი აიდგათავისი სოფლის (ჩვენი კაი ყმა თელიანიდან არის) ნახერხმოყრილ საჭიდოზე. როგორც კი საშუალება ეძლევა, სიამოვნებით გამოდის ადგილობრივ სასოფლო არენებზეც. წელს და შარშან წარმატებით იჭიდავა: ქ. ახმეტაში – საქართველოს რეკორდსმენი აბსოლუტური ფალაენის ალექსი დავითაშვილის საიუბილეო ტურნირზე (მესამე იყო ონისე ბუღაძისა და გიორგი პაპუნაშვილის შემდეგ), ქ. თბილისში – “თბილისობაზე”, ასევე, ჩვენს სოფლებში: მეტეხში, იგოეთში, ლამისყანაში...

... სწორია შემთხვევა, როცა ახალბედა მო-

ჭიდავე ნაადრევ ასაკში მიღწეული “ხმაურიანი” გამარჯვების შემდეგ იკარგება, ვეღარ წინაურდება, ფერხდება ნაკრების კართან და, საერთოდ, ქრება სპეციალისტთა თვალთაგან, საჭიდაო სარბიელიდან. აი, ამ მხრივ, ირაკლი დემეტრაშვილი სასიამოვნო გამოჩნდა. ამას მოწმობს მისი სპორტული ნაბიჯები ასაკობრივი მატების კვალობაზე:

2018 წელი – მსოფლიო ჩემპიონობა 16 წლის ასაკში, ანუ კადეტთა შორის (ჭიდაობა სამბოში),

2019 – მსოფლიო ჩემპიონატი (ჭაბუკები) – პირველი, ევროპის თასი – მესამე, ევროპის პირველობა – მეორე;

2020 – ევროპის თასი – მეორე;

2021 – მსოფლიო ჩემპიონატი (უკვე ახალგაზრდებს შორის) – მესამე;

2022 – ევროპის ღია პირველობა და ევროპის თასის გათამაშება – ორივეგან პირველი...

(2023-24 წლების მიღწევებზე ზემოთ მოგახსენეთ).

... ასეთი მხარდი პოტენციალის მქონე სპორტსმენი საგაისოდაც უთუოდ წარმატებული იქნება. ამას უგეგმავენ კიდევ აწ საქართველოს ძიუდოს ეროვნული ნაკრებისა და კასპის ნაკრები გუნდის წევრს მწვრთნელები – ვაჟა ბალხაძე-ვილი და ნუგზარ მამულაშვილი.

დაე, მომავალი 2025 წელი არნახულად ბარაქიანი, წარმატებული ყოფილიყოს 22 წლის ფალაენის სპორტულ კარიერაში! აი, მის გულში ჩასახული ნატვრის ასრულებისა ყოფილიყოს “ლოს-ანჯელესი – 2028”-ის სავალ გზაზე! ა.კალანდაძე.

